პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 მარტი, კვირა, 1987 წ.
№ 47 (9458) ● ფასი 3 კაპ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„წელს აღინიშნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი. ოქტომბრის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ქალების სოციალური და სულიერი განთავისუფლება. მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მშრომელ ქალებს სამშობლოს მატერიალური და სულიერი ფასეულობების გამრავლებაში, მისი ძლიერების განმტკიცებაში“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან საბჭოთა ქალებისადმი.



# შტაბის სხდომაზე განიხილეს

სპორტული სოლიდარობის მონაწილეთა [illegible] შტაბის სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მოისმინეს ინფორმაციები იმის შესახებ თუ რა ღონისძიებები გატარდა თამაშების მასპინძლობისათვის რესპუბლიკის იმ ქალაქებში და რაიონებში, სადაც შეჯიბრებების ჩატარებაა დაგეგმილი. სხდომამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა ცხინვალში (ძალოსნობა), სამტრედიაში (ჭადრაკი), თელავში (მაგიდის ჩოგბურთი და ბადმინტონი), გორში (ძიუდო) დღემდე გაწეული მუშაობა.

განიხილეს აგრეთვე თამაშებზე მოწვეული მსაჯების მიღება-დაბინავებისა და მომსახურების საკითხი.

სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვაჟა შობლაძემ.

# XXXIII საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის ყველა დელეგატის მონაწილეობით გაიმართა რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი. იგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ჯ. ვ. მარგველიძე, მეორე მდივნად — თ. გ. გიორგაძე, მდივნებად — გ. გ. ტონკონოგოვი, მ. ლ. ხარატიშვილი, ა. ვ. შარაშიძე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად არჩეული არიან მ. ნ. ადეიშვილი, მ. ხ. ბერიძე, თ. გ. გიორგაძე, ლ. გ. ზოდელავა, დ. ს. კულუმბეგოვა, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. უ. მარუაშვილი, პ. თ. ნაცვლიშვილი, გ. გ. ტონკონოგოვი, ს. ხ. ფუნტიკოვი, ე. ჯ. შამბა, ა. ვ. შარაშიძე, მ. გ. ჩიბურდანიძე, დ. თ. წულაძე, გ. ი. ჭანტურია, მ. ლ. ხარატიშვილი, თ. გ. ხვადაძე.

პლენუმმა გაზეთების რედაქტორებად დაამტკიცა: „ახალგაზრდა კომუნისტის“ — პ. თ. ნაცვლიშვილი, „მოლოდიოჟ გრუზიის“ — დ. თ. წულაძე, „ნორჩი ლენინელის“ — ი. ნ. ცერცვაძე; ჟურნალების რედაქტორებად: „ცისკრის“ — ჯ. ნ. ღვინჯილია, „პიონერის“ — ბ. ა. შელია, „დილის“ — ე. ე. ნიჟარაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, გ. ხ. ემირიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. შვეცოვა, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ა. ლ. აბრამოვი.

საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ზ. ო. ედიშერაშვილი.

(საქინფორმი).

იხ. მე-2 გვ.

„ლელოს“ პრიზზე

# დღეს ფინალია

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩვენი გაზეთის პრიზის საკავშირო გათამაშების მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა ჭაბუკ კალათბურთელთა შორის. პირველად მოედანზე გამოვიდნენ თბილისის გუნდები — „დინამო-2“ და „ლოკომოტივი“. წარმატება წილად ხვდათ რკინიგზელებს — 67:62 (28:37).

ყაზახეთისა და ბელორუსიის კოლექტივების შეხვედრაში შუააზიელმა სპორტსმენებმა სძლიეს მეტოქეებს — 84:77 (44:39).

1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა მომავალი საკავშირო ფინალური შეჯიბრების მონაწილეთა — თბილისის „დინამო-1“ და ლიტვის კოლექტივების შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 88:76 (36:26).

ამ მოგებით „დინამოს“ პირველმა გუნდმა ყაზახეთის გუნდთან ერთად ხელთ იგდო ლიდერობა.

# დახმარების ფონდში

მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდმა, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება, დასავლეთ საქართველოს რაიონების დაზარალებულთა დახმარების ფონდში გუშინ 235 მანეთი შეიტანა.

• • •

თბილისის ჯანმრთელობის სამმართველოს № 1 საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის თანამშრომლებმა 1660 მანეთი შეიტანეს № 700 ანგარიშზე.



# გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში

გაიმართა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მსახიობ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი. მაყურებლებით სავსე ტრიბუნების თვალწინ თამაშის დაწყებამდე ორივე თეატრმა წარმოადგინა მომხიბლავი თეატრალიზებული სანახაობა.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 3:3. დაინიშნა 7-მეტრიანი დარტყმების სერია. საბოლოოდ გაიმარჯვეს მარჯანიშვილელებმა — 5:4.

ვრცლად ამ საინტერესო ღონისძიების შესახებ მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

# ტელევიზიით ლანჩხუთიდან

ხვალ, ლანჩხუთში, „გურიის“ სტადიონზე, შედგება სსრ კავშირის 1987 წლის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი მატჩი. ადგილობრივი „გურია“ ხვდება სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს კიევის „დინამოს“.

საქართველოს ტელევიზია პირველი პროგრამით გადასცემს მატჩის რეპორტაჟს. დასაწყისი 19 საათზე.





# ჯანმრთელობის 70 კილომეტრი

სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ რესპუბლიკური საბჭო ატარებს ერთთვიურს დევიზით: „70 კილომეტრი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს“. ეს ღონისძიება ტარდება საკავშირო დათვალიერება-კონკურსის „მოძრაობა ჯანმრთელობისათვის“ პროგრამის მიხედვით.

ერთთვიური უკვე დაიწყო და გაგრძელდება 5 აპრილამდე. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც კონკურსშია ჩაბმული.

საკონტროლო შეჯიბრება 5 აპრილს, 12 საათზე, დიღმის ტყეპარკში გაიმართება. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ საკონტროლო ბარათები, რომელშიც აღნიშნული იქნება თუ სად, როდის და როგორ შეასრულა საკონტროლო ნორმატივი ერთთვიურის მონაწილემ, ე. ი. გაირბინა, ველოსიპედით გაიარა, გაცურა თუ სპორტის რომელ სახეობაში დაფარა 70 კილომეტრი. საკონტროლო შეჯიბრების მონაწილეებმა თან უნდა იქონიონ ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.



# აღმასვლა

სულ უფრო უმატებს შედეგებს ახალგაზრდა ძალოსანი კობა ტალახაძე. ბრესტში იუნიორთა საკავშირო პირველობაზე ქართველი სპორტსმენი მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

აი, რა გვითხრა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ძალოსნობაში რამაზ გურგენიძემ.

— ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად იუნიორთა შორის. შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონ უკრაინელ ალექსანდრე ლეონდოლსკ...

იხ. მე-2 გვ.



რესპუბლიკის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. მასალას ამ შეჯიბრების შესახებ გთავაზობთ დღევანდელი ნომრის მე-4 გვერდზე.

საქართველოს სპორტსახკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში გრძელდება ვაჟ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის, II ტურის მატჩები. (იხ. მე-4 გვ.).



# საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

**7 მარტს** საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობამ მუშაობა განაგრძო.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო განახლებულ კამათში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ს. ი. გოგიბერიძე, ზესტაფონის № 99 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ლ. ბ. გურული, სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ზ. ვ. ბარბაქაძე, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ა. კალმახელიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი გ. ტ. მასალკინი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივანი ი. ნ. კოკინი, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მწყემსი მ. პ. თათარაიძე.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ყრილობამ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო. დელეგატებმა მიიღეს რეზოლუცია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, დაამტკიცეს რესპუბლიკის კომკავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

აირჩიეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი, აგრეთვე, საკავშირო ალკკ XX ყრილობის დელეგატები. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობა დახურულად ცხადდება.

ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

(საქინფორმი).

## სამი ლიდერი

**სამტრედია** (ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 1 ლიგის ჩემპიონატში გათამაშდა **IV ტურის** პარტიები. შეჯიბრების ლიდერმა ზაზა ხოფერიამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა არტურ თეიმურაზიანთან. ამ დაკარგულმა ნახევარმა ქულამ ხოფერიას მდევრებს საშუალება მისცა დასწეოდნენ მას — ნუკრი მანაგაძემ და დავით ჩაჩიბაიამ მოიგეს თავიანთი პარტიები შესაბამისად რომან სიჭინავასთან და გიორგი გოგიჩაიშვილთან და ახლა, 4 ტურის შემდეგ, ხოფერიას, მანაგაძესა და ჩაჩიბაიას 3-3 ქულა აქვთ.

IV ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ტაბატაძე — პოპოვი — 0,5:0,5, ლეჟავა — ტყებუჩავა — 0:1, გოგოლაძე — შალამბერიძე — 1:0, ხეცურიანი — ნეჩაევი — 1:0. ლობჟანიძე — ლეკვეიშვილის პარტია გადაიდო.

დღეს ჩვენი სტუმარია გამოჩენილი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჭადრაკის დიდი გულშემატკივარი მარიამ ლორთქიფანიძე.

გულშემატკივრის კუთხე



# მარიამ ლორთქიფანიძე: კანონზომიერება, მხოლოდ კანონზომიერება!

**● ქალბატონო მარიამ, საქვეყნოდ ცნობილია ქართველ მოჭადრაკე ქალთა სკოლის უდიდესი წარმატებები. თქვენ რით ახსნიდით ამას?**

— ქართველ ქალთა ოცდახუთწლიანი საჭადრაკო დომინაცია, როგორც ახლა საყოველთაოდ აღიარებულია, სრულიად კანონზომიერი მოვლენა გახლავთ და ეს ისტორიული ფაქტორებითაა მომზადებული. უკვე მრავალგზის თქმულის გამეორება რომ არ მომიხდეს, ვიტყვი მხოლოდ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ჭადრაკი ნამდვილი კულტი იყო, მაშინ, როცა მთელ რიგ ქვეყნებში მას სასტიკად კრძალავდნენ. იმ დროს, როცა ქართველ ქალს მზითევში ჭადრაკს ატანდნენ, როგორც ძვირფას ნივთს, სხვაგან, დაუნდობელი დევნის შიშით, მას გამოჩენილი პიროვნებებიც კი ვერ თამაშობდნენ.

**● მეფეების გარდა...**

— დიახ, მაგრამ ისიც იმიტომ, რომ მეფეებისთვის კანონს დამორჩილება სავალდებულო არ იყო. გავიხსენოთ იმპერატორ სიგიზმუნდის გამოთქმა: „კეისარი გრამატიკაზე მაღლა დგას!" ასე რომ, როცა სხვა ქვეყნებში ქალებს ჭადრაკზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ, ჩვენთან ჭადრაკის თამაში საყოველთაოდ მიღებული იყო.

**● ქართველებს შემდეგშიც არ განელებიათ ჭადრაკის სიყვარული...**

— დიახ, XIX საუკუნეში ჩვენ უდავოდ კარგი მოჭადრაკეები გვყავდა. სხვა საკითხია ის, რომ მათ სათანადო ასპარეზი არა ჰქონდათ — საერთაშორისო კონტაქტები არ არსებობდა, საერთაშორისო ტურნირები არ იმართებოდა. მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ ილია ჭავჭავაძის „ივერია" სისტემატურად აშუქებდა საჭადრაკო მოვლენებს, ჩიგორინ—ტარაშის მატჩს, ეს მაშინ, როცა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები ჭადრაკს საერთოდ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

**● თქვენ მხარი დაუჭირეთ „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" რედაქციის წინადადებას სამზითვო ჭადრაკის მომზადების თაობაზე....**

— ძალიან კარგი იდეაა. შუა საუკუნეებში ქართველი ოსტატები ჭადრაკს იშვიათი ხელოვნებით ამზადებდნენ და მათ მიერ ნაკეთებ ფიგურებს ეროვნული იერი ჰქონდა. აი, ასეთი ჭადრაკი მართლაც კარგი საჩუქარი იქნება.

**● ზოგიერთ ქვეყანაში სკოლებში შემოიღეს ჭადრაკის სავალდებულო სწავლება. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ასე შორს ნუ წავალთ, რადგან სასკოლო პროგრამა ისედაც გადატვირთულია. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ყველა სკოლაში დაარსდება ჭადრაკის წრე. იგი გააერთიანებს ყველას, ვისაც ჭადრაკი აინტერესებს. ვინც თავს გამოიჩენს, მეცადინეობას გააგრძელებს პიონერთა სასახლეებსა და საჭადრაკო კლუბებში. სკოლაში დამატებითი საგნის შემოღებას ეს აჯობებს.

**● ძალიან ხშირად წერენ ხოლმე საქართველოს ქალთა ნაკრებსა და „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრებთან შეხვედრის შესახებ...**

— ასეთი მატჩის მოწყობა მართლაც საინტერესო იქნებოდა, მაგრამ რამდენ დაფაზე? აი, ხუთ ან ექვს დაფაზე რომ შეიძლებოდეს ასეთი შეხვედრის გამართვა, მაშინ მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ელენა ახმილოვსკაია, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი ჩვენს გუნდს გამარჯვებას მოუტანდნენ. მე მიჭირს მათი მეტოქეების ჩამოთვლა. ალბათ, ჟუჟა პოლგარი, პია კრამლინგი...

**● პოლგარი ქალებთან არ თამაშობს, მას სურს მსოფლიო ჩემპიონი გახდეს ვაჟთა შორის.**

— ფრიად თამამი გადაწყვეტილებაა, ისე საინტერესო ცდა კი იქნება.

**● ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის. ტურნირის შედეგების მიხედვით შეგვეძლება მსჯელობა ქართული ჭადრაკის ხვალინდელ დღეზე. თამაშობენ 15 წლის ქეთინო კახიანი, რომელიც, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ვიცეჩემპიონი გახლავთ უმცროსი ასაკის გოგონათა შორის, 14 წლის სოფიკო ტერელაძე (საქართველოს ახლანდელი ჩემპიონი ქალთა შორის), 18 წლის [illegible] ნიკოლაძე (საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის).**

— დიახ, ამჯერად საინტერესოც კია, რომ ჩვენი დიდოსტატები შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ. მე ბევრი რამ მსმენია კახიანზე, ტერელაძესა და ნიკოლაძეზე. ეტყობა, მართლაც დიდი მომავლის მოჭადრაკეები არიან. კაცმა რომ თქვას, 8 მარტი კია, მაგრამ რატომ ვლაპარაკობთ მარტო ქალებზე?! მე ძალიან გამახარა ზურაბ აზმაიფარაშვილის ბრწყინვალე წარმატებამ ვიქტორ გოგლიძის უკანასკნელ მემორიალზე. ის, რასაც ქალები აღწევენ, ვაჟებმაც უნდა შეძლონ. სამისო ნიჭი, მათ, ვფიქრობ, არ აკლიათ.

**● თქვენი ბიძა, გამოჩენილი დირიჟორი ევგენი მიქელაძე თუ თამაშობდა ჭადრაკს? ანდა, თქვენი მასწავლებელი, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია?**

— როგორ თამაშობდნენ, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ვიცი, რომ დიდ პატივს სცემდნენ ამ თამაშს. სხვანაირი დამოკიდებულება ჭადრაკის მიმართ წარმოუდგენელია.

**● სპორტის რომელიმე სახეობას თუ მისდევდით?**

— ომამდე ჩოგბურთს ვთამაშობდი, უფრო ჩემთვის, ასე რომ, იქნებ გასახსენებლად არც ღირს...

**ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაული მივულოცეთ; ვუსურვეთ ბედნიერება, ჯანმრთელობა, იმ დიდი ენერგიისა და ხალისის შენარჩუნება, რომელიც მას ესოდენ ნაყოფიერი მუშაობის საშუალებას აძლევს.**

ესაუბრა ზიზი თორელი.



# აბა თქვენ იცით, ქალებო!

**იყო** დრო, როცა მამაკაცებს გვანცვიფრებდა (და ალბათ გვაღიზიანებდა) ქალი ავტომობილის საჭესთან, ქალი სიგარეტით, ქალი სტადიონის ტრიბუნებზე და ა. შ.

ახლა ასე აღარ არის. ქალმა ხელიდან გამოგვტაცა ავტომობილის საჭე, სიგარეტი, სტადიონის აბონემენტი და სხვ. ვინ იცის, რა მასშტაბებს მიაღწევს ფემინიზაცია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქალმა გააკეთილშობილა ტრიბუნები. როცა გულშემატკივართა ვნებათა ღელვა კულმინაციას აღწევს, უსაზღვრო ხდება ჩვენი ქალების „საგულშემატკივრო" ფანტაზიაც (იხ. ფოტოები). ეს ფრიად პოზიტიური მოვლენაა.

ეს ფოტოები გასული წლის მიწურულს გადავიღე სპორტის სასახლეში და სარვამარტოდ შემოვინახე. შეხედეთ, როგორი გაافთრებით, როგორი ერთგულებით უჭერს მხარს თბილისის „დინამოს" ერთი გულშემატკივარი ქალი, შესაძლოა, გაცილებით უკეთ ერკვევა კალათბურთის წესებში ამ ქალის წინ მჯდომი მამაკაცი, მაგრამ იგი ემოციების რაციონალურად ხარჯვას ამჯობინებს და ზუსტად იმ დროს „განიცდის", როცა ამას საჭიროება მოითხოვს. მაგრამ გულშემატკივარ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით მეტი უპირატესობა ენიჭებათ. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რომელი რაინდი სპორტსმენი დატოვებს უყურადღებოდ გულშემატკივარი ქალის წამოკივლებას, ან მის შეძახილს: „დინამო"! „დინამო!".

აქედან გამომდინარე, ქალის ყოფნა სპორტის სასახლეში ან სტადიონის ტრიბუნებზე საგანგებოდ აუცილებელია. აბა თქვენ იცით, ქალებო!

თამაზ შეიშვილი.

# აღმასვლა

დასასრული

და კობა ტალახაძეს შორის გაიმართა. კობამ პირველ ცდაზე 180 კილოგრამი აიტაცა, რაც საქართველოს რეკორდს 7 კგ-ით აღემატება. მეორე ცდაზე მან 187,5 კილოგრამი დაძლია, მაგრამ წონის დაფიქსირება ვერ შეძლო, იგივე სურათი განმეორდა მესამე ცდაზე — სპორტსმენს გამოცდილება არ ეყო, არც ფსიქოლოგიურად აღმოჩნდა მომზადებული. ალექსანდრემ კი ეს წონა დაიმორჩილა. აკვრაში 210 კგ ორივემ პირველივე ცდაზე დაძლია. მეორე ცდაზე 220 კილოგრამი კობამ თავისუფლად ასწია (ეს წონაც 7 კილოგრამით აღემატება საქართველოს რეკორდს), ალექსანდრეს კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც დაიმორჩილა შტანგა.

მესამე ცდაზე მსოფლიო ჩემპიონი 225 კგ-ს ველარ „მოერია". კობას გამარჯვებისთვის მხოლოდ 230 კილოგრამი ჰყოფნიდა. მან მკერდამდე თავისუფლად მიიტანა შტანგა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამ წონას იგი გაუჭირვებლად დაძლევდა, მაგრამ კობა კვლავ აღელდა, ვერ მოზომა მოძრაობა... საბოლოოდ მან ორჭიდში 400 კგ მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. ამ ასაკში ასეთი წარმატებისთვის ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ ძალოსანს არ მიუღწევია. ჩვენი მეორე ძალოსანი, სპორტის ოსტატი ელგუჯა მინაძე ავადმყოფობის მიუხედავად მაინც გამოვიდა ფიცარნაგზე, მაგრამ შეფასება ვერ მიიღო.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ლოპატინმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ კობა ტალახაძე ფიზიკური მონაცემებით გაცილებით ძლიერია მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრე ლეონდოლსკიზე და იგი მომავალში უფრო დიდი წარმატებებით გაგვახარებს. კობა საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს. ივნისის ბოლოს პრაღაში გაიმართება მსოფლიო პირველობა იუნიორებს შორის, სადაც სხვებთან ერთად კობა ტალახაძეც გამოვა, — გვითხრა საუბრის დასასრულს რამაზ გურგენიძემ.

ესაუბრა ჯემალ კასრაძე.

# ზედიზედ მეხუთე გამარჯვება

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ერთი მატჩი.**

**ლენინგრადი.** ადგილობრივმა „სპარტაკმა" გათამაშებაში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან რიგის ვეფ-ი დაამარცხა — 98:75 (44:36).

ლენინგრადელთაგან ყველაზე მეტი ქულა თავის კოლექტივს სერგეი კისელიოვმა შესძინა (21). ვეფ-ში საუკეთესო ბომბარდირი კარლის მუიჟნიეკსი იყო (31).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 7 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 33 | 27 | 6 | 3130-2623 | 60 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 33 | 22 | 11 | 2924-2769 | 55 |
| „დინამო" (თბილისი) | 34 | 20 | 14 | 2638-2776 | 54 |
| „სპარტაკი" (ლენინგ.) | 33 | 20 | 13 | 2743-2671 | 53 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 33 | 16 | 17 | 2630-2685 | 49 |
| ვეფ (რიგა) | 34 | 13 | 21 | 2954-3095 | 47 |

ფეხბურთი

# გულშემატკივარი და წესრიგი

თითქოს გაცვეთილი თემაა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალური, იმდენად მნიშვნელოვანი, გულშემატკივართა ღირსებებს და საერთო ჯამში ერის საუკეთესო თვისებებს რომ წარმოგვიჩენს. გულშემატკივარმა ევოლუციის თავისებური ეტაპები გაიარა, სპორტის მოყვარულის შეხედულებები შეიცვალა, დღევანდელი გულშემატკივარი მკვეთრად განსხვავდება გუშინდელისგან. რაც მთავარია, იგი თანდათან თავისუფლდება პროვინციალიზმისაგან.

დიახ, გულშემატკივარი თვისობრივ ცვლილებას განიცდის. იცვლება მისი შეხედულებები, იხვეწება გემოვნება. ფეხბურთმა, რომელსაც დღეს ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, ხელი შეუწყო გულშემატკივრის ფენომენის ჩამოყალიბებას. დიახ, რაც უფრო მაღლდება სათამაშო კლასი, მით უფრო იხვეწება მაყურებლის გემოვნება, ღრმავდება მისი ცოდნა. საფეხბურთო სანახაობას წესიერი და ობიექტური მაყურებელი ალამაზებს. ახლა, როცა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ვილწვით საერთო კლიმატის გაჯანსაღებისათვის, უდისციპლინობას და თავგასულობას ვერც ტრიბუნებზე მოვითმენთ და ვერც მოედანზე. დიახ, დღეს სპორტსმენმაყურებლის ურთიერთდამოკიდებულება სამაგალითო უნდა იყოს.

გულშემატკივრის ქცევის წესების დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ქცევაში ადამიანი, მისი კულტურა მჟღავნდება. დაგვეთანხმებით, კულტურული კაცი არ შეიძლება უწესოდ მოიქცეს. ზომიერება და სიდინჯე არასოდეს უღალატებს მას, ვინც საყვარელი გუნდის ჭეშმარიტი პატრიოტია, ვისთვისაც უცხოა კუთხური ამბიციები და ცრუ-პრესტიჟულობა.

ჩვენ ახლა „საგულშემატკივროდ" ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელთა გუნდიც მოგვემატა. რაღა თქმა უნდა, გვახარებს და გვეამაყება ის, რომ სოფლის საფეხბურთო კოლექტივმა გზა გაიკვლია უმაღლესი ლიგისკენ, მაგრამ ალტაცებაში ზომიერების გამოჩენა გვმართებს. დიახ, ზომიერების გრძნობამ არსად არ უნდა გვიღალატოს. ემოციებს აყოლილი მაყურებელი ვერაფრით არგებს მოასპარეზეებს, ზიანს კი მოუტანს. ნამდვილი გულშემატკივარი სპორტული პერიპეტიების გონივრული შეფასებით იცნობა. გონიერი კაცი კი ყოველთვის თავდაჭერილია.

რაკი ლანჩხუთის გუნდი ვახსენეთ, აქვე დავძენთ, რომ უმაღლესი ლიგის გუნდს, ცხადია, მაყურებელიც „უმაღლესი" უნდა ჰყავდეს. დაგვეთანხმებით, ალბათ, ეს ღირსებას შემატებს გუნდს. ლანჩხუთის სტადიონზე მხოლოდ ერთი რაიონის წარმომადგენლები არ შეიკრიბებიან, ამიტომ დიდი სიფხიზლის გამოჩენა გვმართებს, რომ ვინმემ უღირსი საქციელით ჩრდილი არ მოგვაყენოს, არ შეგვარცხვინოს. დიახ, ლანჩხუთში გამართულ პირველ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ დღეს უნდა გამოჩნდეს არა მარტო ის, თუ როგორი ფეხბურთელები გვყავს, არამედ ისიც, ვისთვის თამაშობენ ისინი, როგორ უყვართ საქართველოში ფეხბურთი.

სტადიონი დასვენების ადგილიცაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ გვემსახურებიან. ჯერ კიდევ სტადიონის მისადგომებთან მაყურებელი უნდა გრძნობდეს, რომ მას პატივს სცემენ, მას სტადიონზე ელიან. ამას როგორც სპორტული ბაზების თანამშრომლების, ისე იმ ორგანიზაციების წარმომადგენელთა გასაგონად ვამბობთ, რომლებიც მატჩების დღეებში თავიანთ სამსახურს სთავაზობენ ფეხბურთის გულშემატკივრებს. რაღა თქმა უნდა, მათი გულისხმიერება ჩვენგანაც უპასუხოდ არ უნდა დარჩეს.

## ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე

**ბაქოში,** სადაც მიმდინარეობს ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, საქართველოს გუნდმა დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები — 3:1.



# 50-ე, საიუბილეო

ხვალ, 9 მარტს, იწყება სსრ კავშირის 1987 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

**წლევანდელი** ჩემპიონატი საიუბილეოა, საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი გუნდები ეს უკვე ორმოცდამეათედ იბრძოლებენ უძლიერესის წოდებისთვის, ჩვენი საფეხბურთო ელიტის შეჯიბრებები მუდამ დიდ ინტერესს იწვევს.

წლეულს უმაღლეს ლიგაში გამოდიან: „დინამო" (კიევი), „დინამო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „ზენიტი" (ლენინგრადი), „დინამო" (თბილისი), „შახტიორი" (დონეცკი), „ქაირათი" (ალმა-ათა), „ჟალგირისი" (ვილნიუსი), „ტორპედო" (მოსკოვი), „დინამო" (მინსკი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „მეტალისტი" (ხარკოვი), „ნეფთჩი" (ბაქო), „არარატი" (ერევანი), აგრეთვე, I ლიგის შარშანდელ საკავშირო გათამაშებაში გამარჯვებულები „გურია" (ლანჩხუთი) და ცსკა.

საიუბილეო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები: **9 მარტს** ერთმანეთს შეხვდებიან ცსკა — „დინამო" (მინსკი), „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (კიევი), „ნეფთჩი" (ბაქო) — „ტორპედო" (მოსკოვი); **10 მარტს**—„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ქაირათი" (ალმა-ათა), „შახტიორი" (დონეცკი) — „ზენიტი" (ლენინგრადი), „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი), „არარატი" (ერევანი) — „მეტალისტი" (ხარკოვი); **11 მარტს**—„დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი).

წლევანდელი სეზონი მრავალ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. მალე დაიწყება საკავშირო გათამაშება I ლიგის გუნდებს შორის, სადაც ქუთაისის „ტორპედო" და ბათუმის „დინამო" გამოდიან, შემდეგ სტარტს აიღებს II ლიგის პირველობა, მასში მონაწილეობენ საქართველოს გუნდები: სოხუმის „დინამო", ფოთის „კოლხეთი", სამტრედიის „ლოკომოტივი", გორის „დილა", ტყიბულის „მეშახტე", რუსთავის „მეტალურგი" და დებიუტანტი — „შევარდენი"-სპი (თბილისი).

შემდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ბრძოლას გააგრძელებს სსრ კავშირის პირველი ნაკრები, ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში ისპარეზებს ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური გუნდი, სხვადასხვა შეჯიბრებებში გამოვლენ ჩვენი ჭაბუკები.

**ერთი სიტყვით, სეზონი აღსავსეა დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით, ფეხბურთის მოყვარულებს ვულოცავთ საიუბილეო სეზონის დაწყებას, ჩვენს ფეხბურთელებს ვუსურვებთ წარმატებებს მომავალ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში.**

## საგანაცხადო სიები

### „დინამო" (თბილისი)

**გუნდის ხელმძღვანელობა**

**გუნდის უფროსი — ნ. პ. ებრალიძე.**

**უფროსი მწვრთნელი** — სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **კ. შ. ახათიანი.**

**მწვრთნელები** — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **გ. გ. ნოდია**, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ნ. გ. ხიზანიშვილი**, სპორტის ოსტატი **შ. შ. ჰეიშვილი.**

**მეკარეები**

**მ. აბუსერიძე** (1962 წელს დაბადებული), **ო. გაბელია (1958), გ. მაკასარაშვილი (1969).**

**მცველები**

**გ. კეტაშვილი (1965), დ. კუდინოვი (1968), ს. მალანია (1964), ო. ოსიპოვი (1969), გ. ფირცხალავა (1965), ზ. ხვანაძე (1958), თ. ხულაქველიძე (1956), ა. ცვეიბა (1966), ს. ჭედია (1965), ა. ჩეკუნოვი (1966), ა. ჩივაძე (1955).**

**ნახევარმცველები**

**მ. აფციაური (1969), მ. ბიგვავა (1963), გ. გოგრიჭიანი (1964), მ. ჟორდანია (1960), ნ. კაკილაშვილი (1960), ო. კორძალიძე (1960), ზ. რევიშვილი (1968), ბ. თედეევი (1969), გ. ცაავა (1962).**

**თავდამსხმელები**

**გ. გურული (1964), მ. ჯიშკარიანი (1969), თ. ქეცბაია (1968), ვ. მიქაშავიძე (1968), მ. ფანცულაია (1967), რ. ჩელებაძე (1955), რ. შენგელია (1957).**

### „გურია" (ლანჩხუთი)

**გუნდის ხელმძღვანელობა**

**გუნდის უფროსი** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **გ. კ. ბაქანიძე.**

**უფროსი მწვრთნელი** — სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **ა. პ. კოტრიკაძე.**

**მწვრთნელები** — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **გ. ა. დუნდუა**, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **ბ. გ. სიხარულიძე.**

**მეკარეები**

**ი. ბერაძე (1968), გ. იმნაძე (1955), ა. მალისოვი (1967).**

**მცველები**

**შ. გილიგაშვილი (1960), ბ. დანელია (1962), დ. იმნაძე (1970), ა. კონდრატიევი (1962), მ. მახარაძე (1968), ნ. მიქაბერიძე (1968), ე. თევზაძე (1959), მ. თევზაძე (1964).**

**ნახევარმცველები**

**გ. ბონდარუკი (1965), ი. გოგუაძე (1970), კ. გუჯაბიძე (1970), გ. დანელაძე (1968), მ. დოლიძე (1969), ი. იმნაძე (1968), ა. კაპანაძე (1962), ტ. კაპანაძე (1962), ვ. კოპალეიშვილი (1954), გ. ტყებუჩავა (1968), რ. ხაგბა (1964), თ. ჩხაიძე (1955).**

**თავდამსხმელები**

**მ. აკოფიანი (1958), კ. გოგიჩაიშვილი (1968), გ. ჯიშკარიანი (1967), მ. კილაძე (1967), მ. მეგრელაძე (1956), გ. ფრიდონაშვილი (1961), ვ. ბლუხი (1958).**

**განაცხადები ქვეყნდება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის 1987 წლის 7 მარტის მონაცემებით.**

# წაგებული მატჩები

**წაგებული მატჩების შედეგები და რაოდენობა: 0:1 (94), 0:2 (42), 1:2 (64), 0:3 (29), 1:3 (26), 2:3 (30), 0:4 (8), 1:4 (16), 2:4 (11), 3:4 (2), 0:5 (8), 1:5 (8), 2:5 (3), 3:5 (1), 4:5 (1), 0:6 (1), 1:6 (6), 2:6 (3), 3:6 (1), 2:9 (1), —: + (1).**

**დღეს** ყველაზე უსიამოვნო თემაზე ვისაუბრებთ. ლაპარაკია თბილისის „დინამოს" მიერ წაგებულ მატჩებზე საკავშირო ჩემპიონატებში. ასეთი მატჩი 356 იყო. ცხრილში თქვენ ხედავთ, რა ანგარიშით და რამდენჯერ დამარცხდნენ თბილისელები. 232-889 — ასეთია ბურთების სხვაობა წაგებულ მატჩებში.

273 მატჩი თბილისელებმა მეტოქის მინდორზე წააგეს, 83—შინ. ყველაზე მეტი დამარცხება (16) დინამოელებს 1983 წელს ჰქონდათ, ყველაზე ნაკლები — 1 — თავის პირველ, 1936 წლის საშემოდგომო ჩემპიონატში. ეს იყო თბილისის დინამოელთა პირველი დამარცხება უძლიერესთა ჯგუფში, პირველი და ალბათ ყველაზე უფრო საწყენი 356-დან. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „დინამო" ლიდერობდა ერთი ქულის სხვაობით. ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად საჭირო იყო დარჩენილი ორი მატჩის მოგება საკუთარ მინდორზე. და აი, მატჩი ლენინგრადის „კრასნაია ზარიასთან". მასპინძლებს მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობა ჰქონდათ, შექმნეს უამრავი საგოლე მომენტი და მხოლოდ ორი გამოიყენეს. ლენინგრადელებმა კი თავიანთი ყოველი შანსი ხელიდან არ გაუშვეს და სამი გოლი გაიტანეს. ანგარიშით 2:3 წაგებამ თბილისელებს მხოლოდ მესამე ადგილი არგუნა. წარმატება კი ასე ახლოს იყო... თბილისის „დინამო" შეიძლებოდა ყოფილიყო ერთადერთი გუნდი საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში, რომელიც თავისი დებიუტის წელსვე ჩემპიონი გახდა.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა 1953 წლის სეზონში, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ორი კულმინაციური მომენტი ჰქონდა და ორივე გადამწყვეტი. ორივე მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა წააგეს. მეორე წრის შუა პერიოდში თბილისელები ორი ქულით უსწრებდნენ თავიანთ კონკურენტს, მოსკოვის „სპარტაკს". ლიდერთა შეხვედრა შედგა მოსკოვში და თბილისელები დამარცხდნენ — 1:4. დამარცხებამ იმდენად „გაანაწყენა" ჩვენი ფეხბურთელები, რომ მათ ორ შემდგომ მატჩში მხოლოდ ერთი ქულის აღება მოახერხეს. ამის შემდეგ დინამოელებმა შეძლეს მობილიზება, მოიგეს ზედიზედ ხუთი შეხვედრა და კვლავ გაუჩნდათ პირველი ადგილის მოპოვების შანსი. ამისათვის საჭირო იყო გამარჯვება მოსკოვში „ტორპედოსთან". „დინამომ" მოიგო ეს მატჩი, მაგრამ... მოწინააღმდეგემ შედეგი გააპროტესტა. სამი დღის შემდეგ შედგა გადათამაშება და წარმატება ამჯერად მოსკოველებს ხვდათ წილად — 4:1. ამრიგად, თბილისელებმა ორ გადამწყვეტ შეხვედრაში დაკარგეს ოქროს მედლები. საერთოდ, თბილისის „დინამო" ხშირად აგებდა სწორედ გადამწყვეტ შეხვედრებს. 1940 წელი. ფინიშამდე ექვსი ტურით ადრე „დინამო" ორი ქულით უსწრებდა თავის მოსკოველ თანაკლუბელებს, რომლებიც მეორე ადგილზე იმყოფებოდნენ. ლიდერები მოსკოვში შეხვდნენ ერთმანეთს. ამ მატჩის მოგების შემთხვევაში თბილისელებს ჩემპიონობის რეალური შანსი ექნებოდათ, მაგრამ ისინი დამარცხდნენ — 0:2. თუმცა შანსი ამის შემდეგაც რჩებოდა. მეტოქეებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. მაგრამ თბილისელებზე იმდენად იმოქმედა ამ დამარცხებამ, რომ მათ შემდგომი მატჩიც წააგეს სტალინგრადის „ტრაქტორთან" — 1:2. მოსკოველებმა კი გამოიყენეს შანსი, ორი ქულით გაუსწრეს თბილისელებს და ოქროს მედლები მოიპოვეს.

1946 წელი. 24 შესაძლებლიდან 22 ქულით ლიდერობენ თბილისელები. ჩემპიონის ტიტულისაკენ მიმავალი გზა მათ კვლავ მოსკოველმა თანაკლუბელებმა გადაუღობეს — 4:1. თბილისელები ისევ კარგავენ სათამაშო ფორმას, შემდგომ ხუთ მატჩში მხოლოდ 5 ქულას აგროვებენ და საბოლოოდ მესამე ადგილს იკავებენ.

შემდგომ სეზონში ცხრა ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში კვლავ თბილისელი და მოსკოველი დინამოელები არიან. თბილისელები კვლავ აგებენ პრინციპულ მატჩს თავიანთ თანაკლუბელებთან —0:3. შემდგომ ორ მატჩში მათ მხოლოდ ერთი ქულა აიღეს — დიახ, ჩვენს ფეხბურთელებს არ ჰყოფნიდათ ფსიქოლოგიური მდგრადობა.

1964 წელი. ბრწყინვალე სტარტის შემდეგ 12 შესაძლებლიდან 11 ქულით თბილისელები ლიდერობენ. კვლავ მოსკოვის „დინამო" და კვლავ დამარცხება — 1:3. და როდესაც თბილისელებმა შემდგომ ოთხ ტურში მხოლოდ ორი ქულის აღება შეძლეს, ყველას ეგონა, რომ ისტორია გამეორდებოდა. მაგრამ იმ შესანიშნავმა კოლექტივმა შეძლო ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა და გუნდის არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

წინა წერილში ჩვენ ვთქვით, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვება თბილისელებმა მოსკოვის „ლოკომოტივთან" მოიპოვეს ანგარიშით 9:2. საოცარია, მაგრამ რვა წლის შემდეგ „გულღრძო" „ლოკომოტივმა" რევანში აიღო ასეთივე ანგარიშით — 9:2. რა თქმა უნდა, საწყენია ისეთი პრინციპული თამაშების წაგება, რომლებსაც გავლენა აქვთ სატურნირო მდგომარეობაზე და მით უმეტეს მედლებზე. მაგრამ არანაკლებ საწყენია, როდესაც ფეხბურთელები ბრძოლას თამაშის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე ანებებენ თავს, ინტერესს კარგავენ საბოლოო შედეგის მიმართ. სამწუხაროდ, ისეთი დამარცხებები, როდესაც „დინამო" თამაშს აგებდა თავისზე ბევრად სუსტ მეტოქესთან, არც თუ იშვიათია. თბილისელთა პასივში 84 წაგებაა სამი და მეტი ბურთის სხვაობით.

მაგრამ არის წაგებული მატჩები, რომლებშიც დამარცხებულები არ იმსახურებენ საყვედურს, რადგანაც იბრძოდნენ ბოლომდე, თავდადებულად. როგორ არ გავიხსენოთ 1950 წლის სეზონის მატჩი მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსთან". თბილისელები აგებდნენ—1:4, მაგრამ რამდენიმე წუთში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთებზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი მოსკოველთა სასარგებლოდ. არ შეიძლება დავივიწყოთ 1946 წლის ჩემპიონატის ბოლო მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან". მეორე ადგილის მოსაპოვებლად დინამოელებს ფრეც ყოფნიდათ. მატჩი თბილისელთათვის არასახარბიელოდ წარიმართა. თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ისინი აგებდნენ — 0:3. დარჩენილ დროში თბილისელებმა შეუძლებელი შეძლეს და მეტოქის კარში ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს. მაგრამ დინამოელებს იმ დღეს ბედი არ წყალობდათ — ბოლო წამებზე გაუშვეს ბურთი, რომელმაც მათ ვერცხლის მედლები დააკარგვინა.

სპორტში დამარცხება გარდაუვალია, მაგრამ არ შეიძლება ამისთვის ტრაგიკული ელფერის მიცემა. დამარცხებამაც შეიძლება ბევრი რამ გასწავლოს, თუ სწორი დასკვნების გაკეთებას შეძლებ.

**აქსელ ვართანიანი.**

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 45, 46.

## შოთა შავგულიძის თასზე

**დაიწყო** II ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში მონაწილე საქართველოს გუნდების წინასასეზონო ტურნირი, რომელიც ტრადიციულად ეძღვნება სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა შავგულიძის ხსოვნას. შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი არიან ორ ჯგუფად.

**I ჯგუფი.** „მეტალურგი" (რუსთავი) — „კოლხეთი" (ფოთი) 3:0, „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:2, „მეტალურგი" (რუსთავი) — „შევარდენი"-სპი (თბილისი) 1:2, „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1.

**II ჯგუფი.** „დილა" (გორი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:2, „მეშახტე" (ტყიბული) — „დილა" (გორი) 1:4, „დინამო" (სოხუმი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:2, „დინამო" (სოხუმი) — „დილა" (გორი) 1:2.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# გამოცდის ჩინებული საშუალება

I წრე, II ტური

თბილისი. საქართველოს სპორტსახკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) — 4:7 (1:1, 1:1, 2:4, 0:1).

„დინამო“ (თბილისი): გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, კოლუაშვილი, ნიკოლაიშვილი, კანდელაკი; გიორგაძე, ბალათურია, ბითაძე, მაჭავარიანი, რამიშვილი.

„დინამო“ (მოსკოვი): პუზანკოვი, მენდიგალიევი, გრიშინი, ნიკიფოროვი, მშვენიერაძე, ბორონინი, რისმანი; შაბალკინი, ივანოვი, ვდოვინი, შვედოვი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელებს დღესდღეობით ბადალი არ მოეძებნებათ. შარშანდელ ჩემპიონატში ამ გუნდმა 27 შეხვედრიდან 25 მოიგო, ზედიზედ მეორედ გახდა ჩემპიონი და მეათედ მოიპოვა ოქროს მედლები. ამ გუნდის წევრთა უმრავლესობა ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ნაკრების ღირსებას იცავს. გუნდში მხოლოდ ორი სპორტის ოსტატია, დანარჩენები საერთაშორისო კლასისა და სპორტის დამსახურებული ოსტატები არიან. ამიტომ მოსკოვის „დინამოსთან“ თამაში ნებისმიერი გუნდის გამოცდის ჩინებული საშუალებაა.

წლეულს თბილისის „დინამოც“ აღმავლობით თამაშობს და მისი ჭეშმარიტი ძალა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მოსკოველ თანაკლუბელებთან შეხვედრაში უნდა გამოჩენილიყო.

თბილისელებმა მესამე პერიოდის ნახევრამდე გამოცდა ფრიადზე ჩააბარეს — მრისხანე მეტოქეს ტოლი თითქმის არაფერში დაუდეს. მართალია, ანგარიში მოსკოველებმა გახსნეს, მაგრამ შემდეგ კარგა ხანს მდევრების როლში იყვნენ. მესამე პერიოდში თბილისელები ორი ბურთითაც დაწინაურდნენ — 4:2, მაგრამ ძლიერ მეტოქეს ვეღარ გაუმკლავდნენ და საკუთარ კარში ხუთი უპასუხო ბურთი მიიღეს.

მაინც, რა მოხდა, რატომ ვეღარ მოახერხეს თბილისელებმა ბურთის გატანა? მართალია, ახალგაზრდები კარგად თამაშობენ, მაგრამ მთელი სიმძიმე მაინც გუნდის ძველ წარმომადგენელთა მხრებზეა. თბილისელები თამაშისას მხოლოდ ერთი-ორი წყალბურთელის გამოცვლასა და დასვენებას ახერხებენ, მოსკოველები კი ერთბაშად სამ, ზოგჯერ ოთხ წყალბურთელს ცვლიან, თანაც ცვლიან სრულფასოვანი მოთამაშეებით (ხშირ შემთხვევაში ძნელიცაა იმის დადგენა, თუ ვინ არის მათი ძირითადი მოთამაშე).

იქნებ ამიტომაც იყო, თბილისელებმა ცხრიდან შვიდჯერ რომ ვერ გამოიყენეს ზედმეტი მოთამაშე, მოსკოველებმა კი ასეთ შემთხვევაში ხუთიდან სამჯერ მიაღწიეს წარმატებას.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გვახარიამ, კუტივაძემ და რამიშვილმა (2), მოსკოველთაგან — მენდიგალიევმა, ვორონინმა (2-2), ნიკიფოროვმა, რისმანმა და გრიშინმა.

გუშინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — კაფ (ბაქო) — 7:18, ცსკ ვმფ — „დინამო“ (მოსკოვი) 8:9, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) — 9:7.

ავთანდილ გურასაშვილი.

• • •

ხარკოვი. საკავშირო ჩემპიონატში პირველი დამარცხება განიცადა გათამაშების ლიდერმა — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა. „მოსკვიჩმა“ განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა შეხვედრის მეორე პერიოდი (გაიმარჯვა ანგარიშით 5:3), მაგრამ სამი პერიოდის შემდეგ ანგარიში მაინც საყაიმო იყო — 7:7. მატჩის ბედი ფაქტიურად უკანასკნელ ტაიმში გადაწყდა. „მოსკვიჩმა“ მოიგო იგი ანგარიშით 2:1 და მასთან ერთად შეხვედრაც 9:8.

სხვა ორი მატჩი ასე დამთავრდა: „დინამო“ (ლვოვი) — კჩფ (სევასტოპოლი) 13:7 (2:2, 3:1, 3:1, 5:3), „დინამო“ (ალმა-ათა) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 9:5 (2:0, 3:1, 1:1, 3:3).

## გათამაშების ცხრილები

### თბილისის ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკ.) | 6 | 5 | 1 | 0 | 50-46 | 11 |
| „დინამო“ (თბ.) | 6 | 4 | 0 | 2 | 45-43 | 8 |
| ცსკ ვმფ | 6 | 4 | 0 | 2 | 61-47 | 8 |
| კაფ (ბაქო) | 6 | 2 | 0 | 4 | 57-67 | 4 |
| „დინამო“ (კიევი) | 6 | 2 | 0 | 4 | 52-59 | 4 |
| „ბალტიკა“ (ლენ.) | 6 | 0 | 1 | 5 | 34-55 | 1 |

### ხარკოვის ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უნივერ.“ (მოსკ.) | 6 | 5 | 0 | 1 | 58-39 | 10 |
| „დინ.“ (ა-ათა) | 6 | 4 | 1 | 1 | 59-49 | 9 |
| „დინ.“ (ლვოვი) | 6 | 4 | 0 | 2 | 61-56 | 8 |
| „მოსკვიჩი“ | 6 | 2 | 0 | 4 | 49-53 | 4 |
| „ლოკომ.“ (ხარკ.) | 6 | 2 | 0 | 4 | 35-48 | 4 |
| კჩფ (სევასტ.) | 6 | 1 | 0 | 5 | 38-48 | 2 |

შენიშვნა: ცხრილებში გათვალისწინებული არ არის გუშინდელი შეხვედრები.

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

# დებმა კარგად დაიწყეს

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა ოსტატმა ნინო მელაშვილმა. ამჯერად მან ოსტატობის კანდიდატ გიული ალიხანაშვილს სძლია. დას არ ჩამორჩა ოსტატი ქეთევან მელაშვილი. მეორე ტურში (პირველში ისვენებდა) მან ოსტატობის კანდიდატ ლია სადუნიშვილს მოუგო. პირველი მარცხის შემდეგ კარგად ჩაატარა მეორე ტურის პარტია საერთაშორისო ოსტატმა ალა ჩაიკოვსკაიამ, რომელმაც ოსტატობის კანდიდატი ლელა თანდაშვილი დაამარცხა. გამოცდილი მოჭადრაკე მსგავსად აეწყო სატურნირო მდგომარეობა ოსტატობის კანდიდატ თამარ მახარაძესაც: I ტურში წარუმატებლობის შემდეგ მან ოსტატობის კანდიდატ მარინა გაგნიაშვილს დაამარცხა მარცხებლი დაამარცხა... ყოველ შემთხვევაში დაამარცხა მარინა გაგნიაშვილს დააყრევინა ფარ-ხმალი. საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა ოსტატ ციური კობაიძესთან გამარჯვების მომდევნო დღეს პარტია გადადო ოსტატობის კანდიდატ მაია ხუციშვილთან. გადაიდო ოსტატობის კანდიდატების სოფიკო ნიკოლაძისა და თეა ლანჩავას პარტიებიც ოსტატებთან ციალა ქასოშვილთან და ციური კობაიძესთან.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ 2 ქულით დაწინაურდა ნინო მელაშვილი (თბილისი). თითო ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ციალა ქასოშვილს (გორი) და თამარ ხუგაშვილს (თბილისი). თითო შეხვედრიდან თითო ქულა აქვთ ქეთევან მელაშვილსა (თბილისი) და ქეთევან კახიანს (გარდაბანი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში

# მესამე ოქროს მედალი

დაუგავპილსში (ლატვია) დამთავრდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის 33-ე ჩემპიონატი. 10,5-10,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ტუნდის ვალნერისმა, ალექსეი მოგილიანსკიმ (ორივე — რიგა) და მიხაილ კორენევსკიმ (ლენინგრადი). დამატებით მატჩში კარგად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა კორენევსკიმ, რომელმაც მესამედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის სახელი. ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იუნიორთა შორის ვალნერისი, ბრინჯაოს ჯილდო სსრ კავშირის ექსჩემპიონს მოგილიანსკის გადაეცა. თბილისელმა ოსტატმა ჯუმბერ ბერიშვილმა 7,5 ქულა მოაგროვა და XIII-XV ადგილები გაიყო, მაგრამ ამან გული არ უნდა გაუტეხოს დებიუტანტ ქართველ ოსტატს. ჯუმბერს ყველაფერი წინა აქვს და იმედია, იგი სერიოზული წარმატებებით გაგვახარებს.

სხვათა შორის

# ირბინეთ, რამდენიც გნებავთ

აშშ-ის ქალაქ იუჯინში (ორეგონის შტატი) გაიხსნა ფირმა, რომელსაც „პროდჯექტ სეიფ რან“ (ვუზრუნველვყოფთ უსაფრთხო სირბილს) ჰქვია. ფირმა დობერმან პინჩერის ჯიშის სავანგებოდ გაწვრთნილ ძაღლებს აქირავებს თვეში 25 დოლარად და ძირითადად რბენით გატაცებულ ქალებს ემსახურება. ახლა მორბენალ ქალებს ბანდიტი ვეღარ დაესხმება თავს. ძაღლები მათთან ერთად მირბიან და თან მიაქვთ კოსმეტიკით დატვირთული ჩანთები. „პროდჯექტ სეიფ რან“ მოკლე ხანში მეტად პოპულარული ფირმა გახდა.

ტელეტაიპი - მკითხველი

ორლანდო (აშშ). საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მოკრივეთა ტრადიციულ ამხანაგურ შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს — 7:5. საბჭოთა სპორტსმენთაგან ბრძოლები მოიგეს: მ. კაზარიანმა (57 კგ), ო. ნაზაროვმა (60 კგ), ა. ოსტროვსკიმ (67 კგ), რ. ტარამოვმა (75 კგ) და ვ. იაკოვლევმა (მძიმე).

ოსტერსუნდი (შვეცია). მოციგურავეთა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი 1000-მეტრიან დისტანციაზე ამერიკელმა ნიკ ტომეტცმა მოიგო — 1.16,82.

ნოიბრანდენბურგი. იუნიორ ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირში გდრ-ისა და საბჭოთა კავშირის გუნდები ლიდერობენ. მათ უკვე 3-3 გამარჯვება აქვთ.

ლვოვი. ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირის („მეგობრობის თასი“) ბოლო დღეს ყველაზე მძიმე წონაში (110 კგ-ზე ზემოთ) 30 წლის მინსკელმა ლ. ტარანენკომ ორჭიდში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 467,5 კგ.

იუმორი

## როგორ დავამარცხოთ ოსტატი?

ამერიკულმა ჟურნალმა „რიდერს დაიჯესტმა“ გამოაქვეყნა ბერლინგტონელი მკითხველის ჯეიმს ბროდის წერილი.

— ჩემს მეგობარ ქალთან ერთად ჰარვარდის პარკში მივსეირნობდი. შევნიშნე ჩვენი თანაქალაქელი ჭადრაკის ოსტატი, რომელიც 5 დოლარად ყველას ეთამაშებოდა. მეგობარი ქალი სკამზე დავსვი, მივედი ოსტატთან და ვთხოვე ჩემთან ეთამაშა. 10 წუთიც კი არ იყო გასული, რომ ოსტატმა თავი დამარცხებულად ცნო.

— მე არ ვიცოდი, რომ შენ ასე კარგად თამაშობ ჭადრაკს — მითხრა მეგობარმა ქალმა.

— ნუ იჩქარებ, ძვირფასო — მივუგე მე — უბრალოდ, სანამ პარტიას დავიწყებდი, მე გავაფრთხილე მოჭადრაკე, რომ... გადასახადების სამმართველოში ვმსახურობ.

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

# „მიკი მაუსი“




ეს სურათი ფოტოკორესპონდენტმა ვალერი სოკოლოვმა 1979 წლის 7 ნოემბრის საღამოს გადაიღო თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. ისის იყო დამთავრდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური შეხვედრა თბილისის დინამოელებსა და დასავლეთ გერმანიის „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ შორის. იმ დროისთვის ბუნდესლიგის უძლიერესი კლუბის წამყვანი მოთამაშე, ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი კევინ კიგანი, როგორც ნათლად ჩანს, კარგ ხასიათზეა და არც ცდილობს სიხარულის დაფარვას. სიხარულის საბაბი კი მართლაც აქვს: მან ბრწყინვალედ ითამაშა და დიდი წვლილი შეიტანა თავისი კლუბის გამარჯვებაში (3:2), იმ შეხვედრაში გამარჯვება ღირსეულს დარჩა. ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ თბილისში ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთი, როგორიც „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ შემოგვთავაზა, ევროპის ტურნირებში ჩვენი „დინამოს“ მონაწილეობის მანძილზე არც ერთ კლუბს არ უთამაშია. გარდა ამისა, იმ საღამოს თბილისელმა ფეხბურთის მოყვარულებმა იხილეს დიდების ზენიტში მყოფი კევინ კიგანის ფილიგრანული ოსტატობაც!

კევინ კიგანის გზა ფეხბურთის უმაღლესი მწვერვალებისკენ მის მშობლიურ ქალაქ არმთორფში დაიწყო. იორკშირის საგრაფოში, დონკასტერის მახლობლად მდებარე ამ პატარა ქალაქში, ირლანდიური წარმოშობის მეშახტის ჯოზეფ კიგანის ოჯახში 1952 წლის 15 თებერვალს დაიბადა ვაჟი — კევინ ჯოზეფ კიგანი, რომელმაც შემდეგ ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ოსტატის სახელი დაიმკვიდრა. იგი ფეხბურთის სამშობლოს ერთადერთი წარმომადგენელია, რომელმაც ორჯერ დაისაკუთრა „ოქროს ბურთი“ (1978, 1979).

ფეხბურთის თამაში ბავშვობაში დაიწყო. პატარა კევინი „სენტ პიტერს სქულის“ გუნდში... კარს იცავდა. დიახ, მომავალმა ფორვარდმა სწორედ მეკარეობით დაიწყო თავისი გრძელი და ნაყოფიერი გზა ფეხბურთში. ეს იმანაც განაპირობა, რომ იმხანად ქვანახშირის საბადოებით ცნობილ დონკასტერში კიგანის თანატოლებს შორის მრავლად იყვნენ კარგი ფეხბურთელები. როგორც თავად კიგანი იხსენებს, „ნებისმიერი მწვრთნელისთვის საკმარისი იყო მისული ყოფილიყო რომელიმე შახტის შესასვლელთან და დაეძახა, რომ მას, მაგალითად, ერთი კარგი ცენტრალური თავდამსხმელი სჭირდებოდა...“

კიგანის ნიჭმა მალე მიიქცია საყოველთაო ყურადღება და არმთორფელი „მიკი მაუსი“ (როგორც ჟურნალისტები კიგანს ეძახდნენ) თავისი ამხანაგებისგან გამოარჩია. კევინმა მიატოვა სკოლა და დონკასტერის ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდში ჩაირიცხა. ამ გუნდში მის წინაშე უფრო ფართო ასპარეზი გადაიშალა. ერთხელ კიგანის თამაში ნახა მეოთხე ლიგის პროფესიული კლუბის „სქანთორფ იუნაიტედის“ წარმომადგენელმა. მისი ვინაობა კევინმა მოგვიანებით გაიგო, როცა უკვე ამ კლუბის წევრი იყო. თავისი პროფესიული კარიერის დაწყებას კევინ კიგანი რობერტ ნილის უნდა უმადლოდეს. როცა ნილის „მეშვეობით“ დონკასტერიდან სქანთორფში გადავიდა, კიგანი 16 წლისა იყო. კიდევ სამი წლის შემდეგ კი იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში „ლივერპულში“ ჩაირიცხა.

იმ დროს „ლივერპულში“ გამოდიოდნენ ისეთი ცნობილი თავდამსხმელები, როგორიც იყვნენ ტოშაკი და ჰაივეი. ასეთი ოსტატების გვერდით კიგანი სწრაფად იმაღლებდა თამაშის კლასს და მალე ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად გადაიქცა. ბუნებრივია, იგი არც ინგლისის ნაკრების მწვრთნელებს დარჩენიათ უყურადღებოდ — უკვე 1973 წელს კევინმა თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ითამაშა.

1977 წელს კევინ კიგანმა თავისი კლუბის შემადგენლობაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა და... „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ გადავიდა. ინგლისელი ფეხბურთელის დებიუტი დასავლეთ გერმანიის ბუნდესლიგაში იღბლიანი გამოდგა: 1978 წელს იგი ევროპის № 1 ფეხბურთელად დაასახელეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წელიწადს „ოქროს ბურთს“, როგორც წესი, ფეხბურთელთა ამ დიდ ფორუმში წარმატებით გამოსული რომელიმე გუნდის წამყვანი მოთამაშე იმსახურებდა. 1979 წელს კიგანმა შეინარჩუნა „ძველი სამყაროს“ ფეხბურთელთა ყველაზე საპატიო ჯილდო და იოჰან კრუიფის მერე პირველი სპორტსმენი გახდა, ვისაც „ოქროს ბურთი“ ზედიზედ ორჯერ გადაეცა.

თავისი კარიერის ბოლოს კიგანი კვლავ სამშობლოში დაბრუნდა. იგი ჯერ „საუთჰემპტონის“ ღირსებას იცავდა, ხოლო შემდეგ „ნიუკასლ იუნაიტედში“ გადავიდა. ეს კლუბი უკანასკნელი გამოდგა კევინ კიგანის საფეხბურთო ბიოგრაფიაში.

ზურაბ ინასარიძე.

## ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 8 მარტი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (1); „სპორტლოტოს“ ტირაჟი — 10.15 (1); მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადაცემა აშშ-დან) — 15.45 (1); სპორტული პროგრამა: 1. სსრ კავშირის ჩემპიონატი ციგურაობაში, 2. სსრ კავშირის ჩემპიონატი სათხილამურო ფრისტაილში, 3. საბჭოთა ჩოგბურთელების გამოსვლის შედეგები აშშ-ში — 18.20 (2); შეჯიბრება სინქრონულ ცურვაში ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ პრიზზე — 19.45 (1).

9 მარტი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში (გადაცემა აშშ-დან) 18.00 (1) და 21.15 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — 20.00 (2); მოკრივეთა საერთაშორისო შეხვედრა: აშშ — საბჭოთა კავშირი — 24.00 (1).

საქართველოს ტელევიზია. 9 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში — 17.25; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (კიევი) — 19.00.

საქართველოს რადიო. 8 მარტი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — 14.30.

9 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში; „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (კიევი) — 20.00 (მეორე ტაიმი).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 68483. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 06813